ახალი მამონები

იუმორისტული ჟურნალი

№ 10

ფასი 10 კაპ. კვირა, 3 მაისი 1915 წ.

გუშინდელი კერპი



ოექვსმეტი გრადუსი წებადართულია.

უცხოელი თბილისში

მკითხველს ეხსომება, რომ შარშან, ამ დროს, გამოჩენილმა ინგლისელმა მეცნიერმა მისტერ ჩარლზ ჯონჯოლმა ლონდონის ცნობილ ჟურნალ "ბრინჯ"-ში გამოაქვეყნა საყურადღებო ცნობები ქუთაისის მცხოვრებთა ზნეჩვეულების შესახებ.

ბ. ჯონჯოლის ზემოხსენებული წერილი ჩვენ დაუყოვნებლივ ვთარგმნეთ ქართულად და გავაცანით კიდეც ავის დროზე მკითხველ საზოგადოებას.

ეხლახან ამავე ავტორმა ჟურნალ ,,ბრინჯ''-შივე დაბეჭდა არა ნაკლებ საყურადღებო და ჩვენთვის მნიშვნელოვანი წერილი ,,თბილისის შთაბეჭდილებანი'', რომელსაც ჩვენ უცვლელად და სიტყვა-სიტყვით ვთარგმნით:

,,თბილისის შთაბეჭდილებანი

უცნაური და ფრიად თავისებური ქალაქია თბილისი. ამ გვარ ქალაქს დედამიწის ზურგზე ვერ შეხვდებით.

აბა, სად გაგონილა, მაგალითად, რომ ქუჩაში თავისუფლად დანავარდობდენ გიჟები და ექსპროპრიატორები და მათ ხმას არავინ სცემდეს!

თვალით რომ არ გვენახა და თავს რომ არ გადაგვხდომოდა, არ დავიჯერებდით.

სადგურიდან ეტლით ქალაქში მოვდიოდით. მდინარე მტკვარზე გასასვლელ ხიდზე რომ შედგა ეტლი, უცებ ორივე მხრიდან საშინელი ყვირილი მოგვესმა:

--შეჩერდით! შეჩერდით!

მეეტლემ ვერ მოასწრო სწრაფად გაჩერება, რადგან ცხენები თავბაგრები გამოდგენ.

მაშინ ის ორი კაცი დაეწია ცხენებს, ჩაჰკიდეს აქეთ იქით აღვირში ხელი და გაგვაჩერეს.

ჩვენ*) იმ წუთშივე გავიფიქრეთ, ეს ეტიუოთ აქაური განთქმული ექსპროპრიატორები იქნებიან თქო რადგან შუა დღეზე ასე უტიფარ თავდასხმას სხვა ვინ გაბედავდა.

—ჩიეცით ფული! მოგვაძახა მეეტლემ.

ამოვიღეთ უბის საფულე და გადავეცით. შიგ რამდენიმე ასიანი იყო.

ექსპროპრიატორებმა [illegible] ეტიენეს, საფულე დაგვიბრუნეს და უარის ნიშნად ხელი გაგვიქნიეს.

მაშინ ჩვენ მოვიხსენით ოქროს საათი, ოქროსავე ძეწკვი, ორივე ბეჭედი (ერთი ბრილიანტიანი იყო, ხოლო მეორე საქორწილო რგოლი) და ყველა ეს და საფულეც კვლავ მცარცველებს გადავეცით.

მაგრამ მათ უფრო გულიანი სიცილი წასკდათ, ამოიღეს თავიანთი ჯიბის საფულე და ,,ვანიშნეს'', ამ ნაირი მოგვეცი[illegible].

ჩვენც ასე მოვიქეცით.

ექსპროპრიატორებმა გახსნეს ჩვენი ჯიბის საფულე, ამოიღეს შიგ ერთად ერთი შაური და ყველა ჩვენი ნივთები უკლებლივ დაგვიბრუნეს; შაური კი თან წაიღეს.

ჩვენ გავშტერდით, ხოლო ექსპროპრიატორები სიცილს განაგრძობდენ.

ყველაზე უფრო ის გვაკვირვებდა, რომ პოლიციელიც იქვე იდგა და თითქოს ექსპროპრიატორების მხარეზეაო, მათთან ერთად იცინოდა.

ეტლი რომ დაიძრა, რა თქმა უნდა, გულმოდგინეთ ჩავუფიქრდით ამ უცნაურ შემთხვევას და ავხსენით კიდეც.

საქმე ის გახლავთ, რომ ქალაქ თბილისის მცხოვრებლებს უხსოვარ დროიდან გაბედული და მამაცი ექსპროპრიატორები შეეგენ[illegible]ენ. თავდასხმა და ძაღიადობით ფულის წართმევა შესისხლხორცებულ ჩვეულებათ ჰქონდათ თფილისელებს. ამ თანდაყოლილ ზნის ერთბაშათ ამოფხვრა, რა თქმა უნდა შეუძლებელი იყო. ამიტომ, ,,შეშმარიტათ რომ ბრძნულმა მართებლობამ ნება დართო აქაურებს, ასე ვთქვათ, უცნებელ ექსპროპრიაციათა წარმოებისა. და აი, ამ ,,უცნებელ ექსპროპრიაციის'' მსხვეილი [illegible] ცა.

როგორც ,,ბრინჯ''-ის ძვირფასი მკითხველები ჰხედავენ, თანამედროვე ექსპროპრიატორებს იმდენათ ქონებრივი მხარე როდი აინტერესებთ (აბა რა სახარბიელოა ერთი შაურის წაღება!), რამდენათაც ფსიხოლოგიური განცდანი, როგორც საკუთარი, ისე გაცარცულისა (მოიგონეთ მათი კმაყოფილი სიცილი!)...

ეხლა გიჟების შესახებ.

ესენი, როგორც ჰგავს, სრულ უფლებოვანი მოქალაქენი არიან თბილისში. მათი რაოდენობა დიდია და თითქმის ყველანი ერთისა და იმავე ხასიათის შეშლილები არიან,

დილ დილობით უფრო შეხვდებით მათ ქუჩა-ქუჩა დადიან და საზარელის ხმით ჰყვირიან საცოდავები სულ ერთსა და იმავე სიტყვას, ალბათ მათი „idée fixe"-ის გამომხატველს.

*) ბ. ჯონჯოლი [illegible] ნაბეჭდი წესის თანახმათ თავის თავზე მრავლობი[illegible] ლაპარაკობს.

ერთი ჯურის შეშლილები არიან, რაღაცნაირ თიხის სურებით დატვირთულ ვირებს მიერეკებიან და გააფთრებით გაჰკივიან ერთ იტალიელ პროფესორის გვარს:

— Mazoni! Mazoni!

სხვებს თავზე ხის ვეებერთელა თეფშები აქვთ დადგმული, ზედ თევზები უწყვიათ, დადიან და გაბმით ჰყვირიან:

- რიბ-რიბ-რიბ-რიბ!

პირველი ჯურის გიჟების ფსიხიური ვითარება ჩვენთვის აშკარაა. ესენი თანახმად ჩვენი გამოკვლევისა, ზემოხსენებულ იტალიელ ფილოსოფოსის პროფ. Mazoni-ის (დაიბადა 1847 წ., მოკვდა 1903 წ.), შკოლის მეცნიერები არიან და თავის მასწავლებლის სიკვდილს ისე უმოქმედნია მათზე, რომ ჭკუაზე შემცდარან. ის თიხის დოქები, ვირით რომ მიაქვთ, მათის წარმოდგენით ძველი რომაული „ურნები“ და შიგ ვითომ პროფ. მაცონის ფერფლი აქვთ შენახული.

რაც შეეხება თევზიანებს, ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, თუმცა ის კი აშკარაა, რომ მათი შეშლილობა პირველ დროის ქრისტიანობის იდეით გატაცებას გამოუწვევია (როგორც მოგეხსენებათ, თევზი ძველათ ქრისტიანთა ნიშანი იყო)...

ყველა ეს გიჟები დილის 6 საათიდან გამოდიან ქუჩებში და, ასე ვთქვათ, მაღვიძარა საათების მაგიერობას სწევენ, რადგან მათი ყვირილი სალათას ძილიანსაც სულ ადვილათ გამოაფხიზლებს..

საკვირველია აქაური ტრამვაიც: არსად ისე სწრაფათ არ დარბიან ტრამვაის ვაგონები, როგორც თბილისში, მაგრამ არსად ისე გვიან არ მიჰყავთ მგზავრი დანიშნულ ადგილს, როგორც აქ. ეს იმიტომ, რომ აქაურ ტრამვაის ადმინისტრაციას თავისებური, თბილისური წარმოდგენა აქვს მიმოსვლის წესისა და ამ თავისებურ წესს სწორეთ ზედმიწევნით ასრულებს:

ამ წესის თანახმათ ერთისა და იმავე მარშრუტის ვაგონებს ნება არა აქვს ერთმანერთს დაშორდენ: ჯერ გაივლის პირველი ნომრის ყველა ვაგონები, შემდეგ მეორის, მესამის და ასე. ამიტომ თბილისში სამღვთო წერილის თქმას — მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო — ასე ამბობენ: მოთმინებითა შენითა მოიპოვე ვაგონი შენიო.

როგორც ხედავთ, ტრამვაით სიარული საქმის კაცისათვის (მხოლოდ მოცლილები სხდებიან ტრამვაის ვაგონებში გასასეირნებლათ და დროების გასატარებლათ) სიბრიყვეა, რადგან ფეხით ბევრათ უფრო ადრე მიაღწევს დანიშნულ ადგილს. ეტლით წასვლა კიდევ საშიშია ექსპროპრიატორების მხრით. მაშასადამე მხოლოდ ქვეითათ უნდა იარო: საფრთხეც აგცდება და ადრეც მიხვალ.

მხოლოდ ერთი უსიამოვნო მხარე აქვს ქვეითობას: ქუჩები მეტათ ტალახიანია და წამდაუწუმ ეფლები. ამ უსიამოვნობას კი ვერას გზით ვერ ასცდება თბილისელი, რადგან აქაური ქალაქის თავი, ბატონი ხატისოვი, სწავლა განათლებით ექიმია და ძალიან გატაცებულია ტალახით ექიმობის იდეით. ფიქრობს თბილისი მალე ტალახიან კურორტათ გამოაცხადოს...

და არა მარტო ქალაქის თავი, თვითმმართველობის მთელი გამგეობა, როგორც ეტყობა, წელებზე ფეხს იდგამს თბილისის დაწინაურებისათვის, ლამის ჩვენი სატახტო ქალაქი, ლონდონს, გაუთანასწორონ თბილისი: არ დამიჯერებთ და, გამგეობის ზოგიერთ წევრთა წყალობით ხარაცის და კიდევ რამდენიმე სხვა სანოვაგეთაგანის ნიხრშა ლამის ლონდონისას წააჭარბოს: ჩვენ გერმანელების ქიშპობისა გვეშინია და თბილისის თვითმმართველობის ქიშპობის კი წარმოდგენაც არ გვაქვს!..

როგორც მოგეხსენებათ თბილისში მრავალ ეროვნების ხალხია თავმოყრილი. ვეცდები თავის დროზე ყველანი გავაცნო „ბრინჯ“-ის მკითხველებს, ეხლა კი ორად ორი სიტყვა ქართველების შესახებ:

მეტათ საინტერესო და სიმპატიური ხალხია ქართველები. მათ შესახებ ათასნაირი ყალბი ხმებია გავრცელებული. სხვათა შორის სიზარმაცეს უჩივიან, თითქოს ქართველებს შრომა არ უყვარდეთ და მუქთაყლაპიობა მათი დამახასიათებელი თვისება იყოს. მე ჩემი თვალითა და ყურით დავრწმუნდი, რომ ეს საზიზღარი ჭორია ერთის ქართველთა მეზობელის (სამწუხაროთ ძლიერ მახლობელ მეზობლის) ერისაგან მოგონილი.

ქართველთა კლუბში შევედი შემთხვევით. ავედი თუ არა კიბეზე და სასადილო ოთახისაკენ მიბრუნება დავაპირე, ჩემს თვალებს გასაოცარი სურათი წარმოუდგა: ვეებერთელა დერეფანში და ფოიეში გაშლილი იყო რამდენიმე თვალუწვდენილი სუფრა; ამ სუფრებს გარს შემოსხდომოდა უთვალავი ქართველი ინტელიგენტი, უმეტესათ ქალები და რაღაცას გაფაციცებით ჩაჰკირკიტებდენ. შევჩერდი. ჩემი გაოცება გაოცკეცდა*), რადგან დავინახე, რომ ეს სიმრავლე ხალხისა, როგორც ერთი კაცი, მთელის თავისი გულისყურითა და ენერგიით რაღაცას

*) მთარგმნელის კალამბურია.

ანგარიშობდა. ერთი მათგანი წამდაუწუმ რიცხვებს იძახოდა, დანარჩენები კი თავაუღებლივ ანგარიშოდენ და ყველას დიდის გატაცებისა და საქმის სიყვარულის ბეჭედი ესვა შუბლზე. ფეხაკრეფით წავედი სასადილო დარბაზში, რათა ამ მშრომელ ხალხისათვის ხელი არ შემეშალა და ჩემი გული ღრმა პატივის ცემით აივსო ქართველთა მიმართ:

—ბედნიერია ის ერი, ვისაც ეგზომ შრომისმოყვარე ინტელიგენცია ჰყავს მეთქი, გავიფიქრე მე და სასადილოში შევედი.

აქ კი ყველა სუფრებს მოქეიფეები უსხდნენ, დვინის სმასა და ლაზღანდარობას ბოლო არ უჩანდა, მაგრამ არც ერთი მათგანი ქართველი არ იყო, რადგან არც ერთ სუფრაზე (განგებ დავაკვირდი) ქართული ლაპარაკი, ერთი სიტყვაც კი, არ გამიგონია...

მეორე საათი იყო კლუბიდან რო გავედი და ის მოანგარიშე ქართველი ინტელიგენტები ისევ იქ დავტოვე თავიანთ რიცხვებში გულმოდგინეთ ჩაფლულნი...

ჯერ-ჯერობით ამით ვათავებ ჩემ შთაბეჭდილებას: ვეცდები მალე ახალი ცნობები მივაწოდო „ბრინჯ"-ის მკითხველებს იმ უცნაურ ქვეყნისა და ხალხის შესახებ, სადაც ამ ჟამათ მე ვცხოვრობ.

ჩარლზ ჯონჯოლ."

ჩვენც სიტყვას ვაძლევთ, „ახალი მათრახის" მკითხველებს, რომ სერ ჯონჯოლის წერილებს, გამოქვეყნებისთანავე, ვთარგმნით და ჩვენს ჟურნალში დავსტამბავთ ხოლმე.

თაგუნა



გზინაკი.

ჩვენი დამსახურებული მეცნიერი ივ. როსტომაშვილი ჟურ. „**ნაკადული**"ს მარტის ნომერში სწერს.

„ადვილათ მიხვდებით, რომ ხალხისა, თუ ურმების ნავებით და ბორნებით გადაყვან-გადმოყვანაც მეტად აბრკოლებდა მისვლა-მოსვლის განცხოველებას. **ამიტომ ადამიანი შეუდგა ფიქრს**: არ შეიძლება თვით მდინარეებზე გავაკეთო ისეთი გზები, როგორსაც ხმელეთზე ვაკეთებო? **ბევრი იფიქრა** ადამიანმა და მოიგონა **ხიდი**.

ჩვენი აზრით მეცნიერს „ნაკადულის" პატარა მკითხველები (რომელთა სურათები ასე ხელგაშლით იბეჭდება აღნიშნულ ჟურნალში) უნებლით შეცდომაში შეჰყავს. საქმე იმაშია, რომ **ხიდი მოიგონა** ინგლისელმა ინჟინერმა სახელათ სტეფენსონმა. როცა პირველად მისგან მოგონილი სამგზავრო მატარებელი მდ. ტემზის ნაპირას მიიყვანა, გასვლა გაუჭირდა. დაჯდა და დაფიქრდა. იფიქრა, იფიქრა, იფიქრა, იფიქრა და მოიგონა ხიდი.

ამავე (ხიდების) საკითხს ეხება შემდეგი თქმულება: როცა თფილისში მდ. მტკვარზე მუხრანის ხიდი ააგეს, ერთი თფილისელი მოქალაქე დაჯდა ხიდის მარჯვენა თავთან და შეუდგა ფიქრს. სამი დღე იჯდა იქა და ფიქრობდა: მესამე დღეს ნაცნობმა სარაჯმა შენიშნა და ფიქრის მიზეზი ჰკითხა. მოქალაქემ მიუგო:

—ვფიქრობ იმასა, თუ რა ნიჭიერი თავი გვყოლია, რომ ე ხიდი გარდი-გარდმო გააკეთა. არა და სიგრძეზე რომ დაეწყო ვინ იცის როდის გავთავებდითო.

ასე გულუბრყვილოა თფილისელი მოქალაქე. იმასა ჰგონია ხიდი ქალაქის თავმა გააკეთა და არა ინჟინრებმაო.

კეთილი ხალხი.

„კაკვაზსკოე სლოვო"ში (№ 80) სწერია:

„გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში, რომ ჩვენ; მე 29 ლაზარეთის მერვე პალატის ავათმყოფნი უღრმეს მადლობას ვსწირავთ მოწყალების ძმას ვასაკ ანდრიას-ძე ლორის-მელიქ-ქალახთარს რიგიანი მოვლისა და **ზრდილობიან მოპყრობისათვის**".

ამავე შინაარსის წერილები ჩვენს რედაქციასაც ხშირათ მოსდის აი რამოდენიმე მათგანი:

„ბ-ნო ეშმაკო! გთხოვთ ჩვენი გულითადი მადლობა გადასცეთ პატივცემულ მოწყალების დას, ალათი გორდელ-სალოლ-მოლოლიანს, აგერ მესამე დღეა ვირებს აღარ გვეძახის და სიცხესაც გვისინჯავს.

მე̄137 ლაზარეთის ავათმყოფნი.

,,პატივცემულო რედაქტორო!

ჩვენ მე 818 ლაზარეთის-დაავადებული მეომარნი ჭეშმარიტ ძმურ სალამსა და გულწრფელ მადლობას ვუძღვნით მოწყალების ძმას ანაპოლისტე კონსტანტინეს-ძე ჯამბაურ-ხორგელ-ვაზიან-სილნალნაქურჩალი-ძეს, რომელიც ყოველ-დღე გამარჯობას გვეუბნება და ზოგჯერ ზოგიერთებს ხელსაც ჩამოართმევს ხოლმე.

შარადა

(საბავშვო)

[illegible] ერთი [illegible]მდინარე ჩაუდის
ევროპის სამხრეთ მხარესა
და საოცნებო სიმშვენის
რწყავს ირგვლივ არე-მარესა.
მე არ მინახავს, არცალა
ქება ვისგანმე მსმენია,
მაგრამ ქარტაზე იმ მხარეს
ის საუცხოვოდ შვენია.
მიდით და იმის ნაპირას,
გაღმა გამოღმა კიდითა,
დამირგეთ ტურფა მცენარე
თქვენ მოკრძალებით დიდითა,
რომ მტრედის ფერი ყვავილი
ზე დაჰხაროდენ ტალღებსა—
და შემდეგ ესე სურათი
გადააკითხეთ ბავშვებსა.
თავისებურათ გამოსთქვამს
ის სიტყვას საშარადესა,
ვინც თავის უძლურ მეზობელს
მტრულად დაუგებს ბადესა,
ხმალი ამოაქვს ქარქაშით
პირ ანალესი ქვაზედა
ხმელეთზე კარგი ბიჭია
თუ არ ისუსტა ზღვაზედა.

კოლო.

ომის დღიური

(მიბაძვა ქართ. გაზეთებისა).

[illegible]

მორიელი.

დეპეშები

26 აპრილი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ბულაირი. გუშინ ქალაქს იმპერატორი ვილგელმი ეწვია სულთანი ნასრედინის თანხლებით. ხალხს დღესასწაულში მონაწილეობა არ მიუღია.

გააგა. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ იმპერატორი ვილგელმი გუშინ საფრანგეთის ფრონტზე იყო და ჯარები დაათვალიერა.

ვარშავა. ლოძიდან გამოქცეული ებრაელის სიტყვით გუშინ კაზერი ვილჰელმი ლოძაში ყოფილა და მდინარე ბზურის ფრონტი დაუთვალიერებია.

კოპენგაგენი. იმპერატორი ვილჰელმი 26 აპრილს მძიმე ავათ გამხდარა და ექიმების რჩევით კრაკოვიდან ბერლინში დაბრუნებულა.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ცნობით იმპერატორი ვილჰელმი 26 აპრილს ანტვერპენში მისულა ადგილობრივ სიმაგრეთა დასათვალიერებლად.

ისფაანი. ამბობენ იმპერატორი ვილჰელმი თითონ მიუძღვის ოსმალთა ჯარს ენვერ ფაშას თანხლებითო. ქალაქში დიდი მღელვარეებაა.

ნიში. 26 აპრილს იმპერატორმა ვილჰელმა ინახულა ავსტრიის იმპერატორი და ზავის შესახებ ესაუბრა. მოსალოდნელია დიდი აშბები.

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან
(26 აპრილი)

სოფია. იტალიაში სამთა შეთანხმება თან და თან ნიადაგს პოულობს. ავსტრიის წინააღმდეგ მტრული განწყობილება იზრდება.

რომი. იტალია საომრათ ემზადება. ჯარი უკვე დაამზადა. ფულს საფრანგეთი პირდება, პურს რუსეთი და იარაღს ინგლისი. ომის დაწყებას დღე-დღეს მოელიან.

კოპენგაგენი. იტალიამ დიდძალ ჯარს მოუყარა თავი ავსტრიის საზღვარზე. დღეს, ან ხვალ ომი იფეთქებს.

პეტროგრადი. ამფითეატროვი ატყობინებს გაზ. „რეჩს“, რომ იტალიის გამოსვლა მოსალოდნელია რამდენიმე თვის შემდეგ.

პარიზი. ბიულოვმა ახალი წინადადებით მიმართა იტალიის მთავრობას. მოლაპარაკება გრძელდება.

სტოკჰოლმი. „ბერლინერ ტაგებლატის“ სიტყვით ავსტრიასა და იტალიას შორის უმთავრეს კითხვებში შეთანხმება მომხდარა.

(სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ბუქარესტი. იტალია ომისათვის ემზადება. უკვე გაიწვიეს ვენიდან სამხედრო ატტაშე.

ათინა. ავსტრიიდან გერმანელები გარბიან. ომი აუცილებელია. დღეს თუ ხვალ ზარბაზნები დაიქექებს.

კოსტანტინოპოლი. ავსტრია თანახმაა დაუთმოს იტალიას ტრიენტი და ტრიესტი. ორივე მხარე კომპრომისზე მიდის, რომ სამხედრო შეტაკება თავიდან აიცდინონ.

სოფია. იტალიაში ომის მოწინააღმდეგეთა რიცხვი სჭარბობს. იტალიის გამოსვლა მოსალოდნელია არა უადრეს ივლისის დამლევისა

ადენა. სტამბოლში დიდი შეთქმულობა აღმოაჩინეს. შეიპყრეს 4865 აფიცარი, რომელნიც ახალგაზრდა ოსმალთა წინააღმდეგნი არიან. მათ დახვრეტა მოელის.

ქაირი. მდინარე ნილოსის სათავეში ჩაირა ეგვიპტეში მომავალი ხორბლით დატვირთული გემი „კროკოდილი“. ამბობენ გემს ნაღმი ესროლა გერმანიის წყალ-ქვეშა ნავმაო.

მალტა. დარდანელის საზღვრებისაკენ გაიგზავნა 1500 გემი დესანტით დატვირთული.

ბუქარესტი. იონესკუმ განაცხადა, რუმინია ბრძოლისათვის მზათ არის, მაგრამ ნეიტრალიტეტს ბოლომდი დაიცავსო. სასახლეში სამხედრო კრება მოხდა.

ზ. ორი--ელი.

კოლია და მუშა

(არაკი აჯიკაბულის ცხოვრებიდან.)

— —

ერთ დეპოს მუშას აჯიკაბულში,
ძიმე ჩაქუჩის ცემა-რახუნში,
დაღალვა ეგრძნო, ჩამომჯდარიყო.
(ალბათ უფროსი ახლოს არ იყო.)
მიედო თავი რაღაც რკინაზე
და ჩასძინოდა მტრების ჯინაზე.
(მუშებს მე ვამჩნევ სიზარმაცით სჭირს
ოც და ოთხ საათს არ მუშაობენ,
ამიტომ ხშირათ მიმართავენ ძილს,
სხვა საშვალებას რომ ვერ ხმარობენ.)
ჩასძინებოდა, მარა საწყალსა
სულ დახვეოდა კოლო-მწერები,
(არ ვიცი, რატომ შავ სისხლს მუშისას
აგრე ბევრი ჰყავს ყველგან მტერები.)
მძინარეც გრძნობდა რაღაც უჭირდა,
ძილშიაც კი ხელს ზანტად იქნევდა,
კოლო ბზუილა უფრო ცხარ იბდა
და იერიშიც მედგრად მიჰქონდა.
ბზუოდენ: „ამ ურჩს შეხედეთ
არც კი გვანებებს კბენასო,
ცოტას რომ უკბენთ მაშვინვე
დაიწყებს ხელის ქნევასო.
სწორეთ უზრდელი რამ არის,
ახლა აუტყდა ფხანაო
რად არ გვაყენებს რომ, გავძღეთ,
საზრდო არ გვინდა განაო!?“

თქვენც ალბათ ბევრხელ გსმენიათ
ამისი მგზავსი ამბავი,
როცა ასტეხენ ყაყანსა
ზოგს რომ აკლდებათ სახრავი.
ყვირიან, აბა გვიშველეთ
ქვეყანა იღუპებაო,
უმცროსი უფროსს აღარ ცნობს
განგებაც მისთვის სწყრებაო.

ჩვენებური.

ინტერვიუ

გაზეთებში მოთავსებული იყო ქუთაისში ექსპროპრიატორებისაგან მოტაცებულ ბ-ნ ოცხელთან საუბარი და იმდენათ დამაინტერესა ამ ამბავმა, რომ განვიზრახე პირადათ ოვლაპარაკებოდი ტყვეობიდან დაბრუნებულ კომერსანტს.

ბ-ნი ოცხელი ძლიერ თავაზიანი, უკეთ ვთქვათ რაინდული ხასიათის კაცი ყოფილა და სიამოვნებით მიმიღო.

— ეს ერთი მხრით სასარგებლოც დარჩა ბ-ნო ეშმაკო. ახლა მთელმა საქართველომ იცის, რომ ქუთაისში ვაჭრობ ს. ოცხელი და ეროგვარი რეკლამა გაიოდის.

—რა თქმა უნდა, ზოგი ჭირი მარგებელია ბ-ნო. ჩვენი მკითხველები ძლიერ დაინტერესებული არიან თქვენი ამბითა და თუ კი ვისმე შეუძლია რეკლამის გაწევა ეს ჩვენზე უკეთ არავის.

—მე სოფ. ჭომაში შემხვდა ორი ბავშვი. მარტო არა ვყოფილვარ, მაგრამ ჩემთან მოიწადინეს სათევზაოთ წასვლა.

— როგორ თუ სათევზაოთ?

—მითხრეს: „მდინარე რუა, რომელიც დასავლეთის მხრით ჩაუქუხს ფერმის კლასს სავსეა კალმახებითო და მე კალმახების პირდაპირ თაყვანის მცემელი ვარ.

—ჩინებული თევზია!

— ავყევით მდინარეს და ავედით გორაზე, საიდანაც გამოჩნდა რიონის ხეობა და რაჭისაკენ მიმავალი გზა. — ხედავ ბ-ნო სტეფანე, რუაში რაც თევზები იყო სულ სიმონ მგალობლიშვილს დაუჭერია და ჩვენ ისევ რიონზე ჩავიდეთო.

-- რიონმაც ჩინებული თევზი იცის. ავტორიტეტულათ შევნიშნე ძე.

—დავუჯერე და ავყევით. ვიარეთ ორი დღე და ღამე. უცებ ულრან ტყეში ამოვყავით თავი. მაშინ მომიბრუნდა ერთი ბავშვი და მითხრა: — მოგატყუეთ ბ-ნო სტეფანე, თქვენ მოტაცებული ხართ, თორემ სად გაგონილა ზამთარში წყალში თევზის გაჩერება. როგორც კი აცივდება ისინი ამოდიან წყლიდან, ბუჩქებში ბუდეებს იკეთებენ და კვერცხებს სდებენო. მე ამ ხნის კაცი ვარ და ეს კი არ ვიცოდი.

გუშინ და დღეს



გუშინ

ომის ილიუსტრაცია

ომის საჭიროებისათვის.

გუშინ და დღეს



დღეს

ომის ილუსტრაცია



ლაზარეთში

—მერე რა გაგიკეთდებათ ამ მოტყუებით მეთქი? ვკითხე იმათ.

— როგორ თუ რა? შენზე უკეთეს თევზს ჩვენ სად დავიჭერდით! მიპასუხეს სიცილით და ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ კინაღამ გული მომივიდა.

დაღამდა. ერთი ბავშვი ქუთაისში დაბრუნდა ჩემ გასაყიდათ, ხოლო მეორე საჭმლის საშოვრათ წავიდა. დავრჩი მარტო. უნდა წარმოიდგინოთ ბ-ნო ეშმაკო ჩემი მდგომარეობა. მარტოთ მარტო ტყეში. რაღაცამ ფოთოლი გააშრიალა. გავიხედოთ, უზარ-მაზარი დათვი. მიჰყუდებია გამხმარ წიფლის ჯიკვს, ორი საჟენის სიგრძე ბეწვიან კუდს მარაოსავით იქნევს და შემომცქერის. ცხადია ვერ შემომბედა და ჩემს დაძინებას უცდის, მაგრამ რა დამაძინებს. პირიქით, მინდა ერთი ვეძგერო, ვსტაცო იმ გრძელ კუდში ხელი და შორს გადავისროლო, მაგრამ მეშინია: ვაი თუ აქვე ახლოს სოფელია, იქ ჩავარდეს და ვისმე ზარალი მიაყენოს. აოხრება და აწიოკება ისედაც ეყოფა ჩვენ ხალხს.

გათენებისას დაბრუნდა ჩემთან დარჩენილი ბავშვი და გამაღვიძა. მე ვუჩვენე ის ადგილი, სადაც დათვი იდგა. ახლა იქ მარტო დამპალი კუნძი ეგდო და მასზე გადმოზრდილი სუროს ტოტი ნელა ირხეოდა ნიავისაგან.

— გასაკვირია სწორეთო, მითხრა ბავშვმა.— დათვები ზამთრობით წყალში ჩადიან და იქ იკეთებენ ბუნაგებს, ეს ოხერი რა ადრე ამოსულაო. გადმომცა ერთი მოხარშული კარტოფილი და თითონ დაწვა დასაძინებლათ.

—კარგი, მაგრამ როცა ეძინა რატომ არ მოვკალი ის მტაცებელი და მატყუარა ბავშვი.

—მართალი გითხრა ქვა ვერ ვიშოვე. იქვე მახლობლათ ეგდო ერთი ბელლის ოდენა კენჭი, დავსტაცე ხელი და მყისვე ვიფიქრე: --ვესვრი ამას, მაგრამ ვაი რომ დავაცილო, გამოიღვიძოს და შემიტიოს მეთქი.

—კეტი მაინც ვერ იშოვე?

—გამოუცდელი ბრძანდებით ბ-ნო ეშმაკო. როცა ბავშვის ხვრინვა მესმოდა მე სულ ამ შურის ძიებაზე ვფიქრობდი, მაგრამ სად იშოვი ისეთ კეტს, რომ ასეთ გასაჭირში გევარგოს? არსად ახლოს ხერხის ქარხანა არ არის. ვტაცე ხელი ერთ უზარმაზარ წიფელს, მინდოდა ძირიანათ მომეგლიჯა, მაგრამ გამახსენდა, თუ როგორ აჩანაგებენ ჩვენში ტყეებს და შევდექი.

—ახირებულია ბ-ნო სტეფანე, თქვენი სიცოცხლე განსაცდელში იყო და თქვენ კი ტყეებზე ფიქრობდით. კარგი, მაგრამ თოფი რატომ არ წაართვით მძინარე ბავშვს?

--ჰმ, რაინდულათ ჩაიცინა ბ-ნმა ოცხელმა.— ნუ თუ ისეთი ლაჩარი მნახეთ ბ-ნო ეშმაკო, რომ ბავშს და ისიც მძინარეს იარაღი წავართვა?! როგორ გამოვჩენილიყავ მერე ქუთაისის ცაჭრებში?

—რატომ მაინც აღარ გამოიქეცით?

—როგორ უნდა გამოვქცეულიყავი, კომპასი თან არა მქონია და ქარტა, მაგრამ ეს და ბოლოს საქიროც აღარ ყოფილა მეხუთე დღეს დაბრუნდა ქუთაისიდან ბავშვი და მითხრა:—გავათავეთ საქმე, თქვენ თავისუფალი ბრძანდებითო. ამ ამბავმა პირველათ საგონებელში ჩამაგდო, მეშინოდა, გაითუ ვინმე კაკიტელაშვილს, ან მოშიაშვილს მიმყიდეს მეთქი. მაგრამ გამოირკვა, რომ ისევ ჩვენიანების ხელში ჩავვარდნილვარ: ამაზე ითქმება —ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო". ახლა როგორც ხედავთ ისევ დავუბრუნდი ჩემს სასარგებლო მოღვაწეობას და საქართველოს არ მოუწია კვლავ ძიძით შემოსვა.

—მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს!

ეშმაკი

საზოგადოებამ გაგვასამართლოს.

ჩემს შესახებ ვინ იცის დღეს რას არ ლაპარაკობენ, რა ჭორებს არა თხზავენ, მაგრამ მე ამისი სრულიადაც არ მეშინია, --ადრე იქნება თუ გვიან სიმართლე თავისას გაიტანს და საზოგადოება სინანულით იტყვის: საბრალო ეშმაკი, თურმე ცათამდე მართალი ყოფილა და ჩვენ კი მასზე ვინ იცის რას არ ვავრცელებდითო:

ამ სამი კვირის წინეთ ჩემთან შემოვიდა ორი კაცი თომა ნასიძე და ბ-ნი შათირიშვილი, და მთხოვეს ,,ახალ მათრახში" მომეთავსებია ცნობა ,,ხარფუხის აუდიტორიის" შესახებ. მე მოვისმინე მათგან ყოველივე და ბოლოს უარი ვუთხარ ჟურნალში ამ ცნობის მოთავსებაზე.

სტუმრები რასაკვირველია ნაწყენი დაბრუნდენ და მე მწამებენ საზოგადო საქმისადმი ულყურადღებობას. ამიტომ მსურს საზოგადოებამ მოისმინოს ჩვენი საქმე და სთქვას (თუ უნდა ნუ იტყვის) ვინ არის ჩვენ ორში მართალი.

1913 წლის პირველი აპრილიდან ,,ხარფუხის წრეს" იჯარით აუღია ქალაქის სახლი აბანოს ქუ

ჩაზე (ხარფუხში). ბევრი შრომისა და წვალების შემდეგ სახლში მოუწყვიათ მშვენიერი აუდიტორია სცენითურთ, რომლის კურთხევაზე მშვენიერი სიტყვა წარმოუთქვამს გამგეობის წევრს ნ. არღუთინსკის. წარმოდგენები იმართებოდა თურმე ყველა ენაზე. (ქართულზე, რუსულზე, სომხურზე, თათრულზე). ს ქმე ჩინებულათ მიდენილა, მაგრამ წრეს დასდებია მცირეოდენი ვალი. ქალაქის გამგეობას უჩივლია. წრის გამგეობა აქეთ მივარდნილა, იქით მოვარდნილა, უშოვნია ხვედრი ფული. მიუტანია ბ-ნ ჯაბარისათვის (მოწმეთ დიმიტრი დუმბაძე დამისახელეს) და უთქვამთ.

—აი ბატონო თქვენი ფული, მიირთვით და საჩივარი მოსპეთო.

ფული ბ-ნ ჯაბარს, თითქო მიურთმევია, მაგრამ საჩივარი თითქო არ მოუსპია.

ბოლოს საქმეში ჩარეულა თვით ქალაქის მოურავი და, როგორც ასეთს, მიზნათ დაუსახავს ,,ხარფუხის აუდიტორიის'' იერიშით აღება. (ასე ამბობდენ ისინი!) მე ბ-ნ ხატისოვზე სულ სხვა აზრისა ვარ: შეიძლება იმან ალყა შემოარტყას და ,,იზმორით'' აიღოს, მაგრამ იერიშით და ისიც ,,სახალხო აუდიტორიაზე'' არასოდეს არ მივა.

- ამ მხრივ ბ-ნმა ხატისოვმა თავის უფლებებს გადააჭარბაო მითხრეს სტუმრებმა და სამართლიანათ დაიმსახურეს ჩემი იუმორისტული ღიმილი, ვინაიდან ,,Побѣдителей не судятъ''.

—იმან (მოურავმა) აცნობა პოლიციმეისტერს, რომ ქალაქის სახლიდან ,,ხარფუხის წრე'' განდევნეთო. მაგრამ როცა გუბერნატორმა გაიგო, რომ ეს განკარგულება უკანონო იყო შეაჩერა ისო.

მართალი მოგახსენოთ, ცოტა აქაც ჩამეცინა. ასეთი კარგი ნაცნობები ბრძანდებიან და თუნდაც უკანონო განკარგულება ყოფილიყო ხათრს მაინც არ გაუტეხდა მეთქი.

—როცა ამ ფრონტიდან უკუქცეულ იქმნა და სამართლის ორ ინსტანციაშიაც დამარცხდა, მაშინ ხატისოვმა სხვა ღონე იხმარა და თავისი გაიტანა. ის ახლა გამოვიდა, როგორც ქალაქთა კავშირის წარმომადგენელი და მისწერა ,,წითელ ჯვარის'' გამგეობას (მგონი ასე სთქვეს):

—ქალაქსა აქვს მშვენიერი სახლი აბანოს ქუჩაზე და იქნებ რამეთ გამოიყენებთო. ის არ გაუმხელია, რომ ეს სახლი წრეს იჯარითა აქვს აღებული და შიგ სახალხო აუდიტორიაა მოთავსებულიო.

—მოვიდნენ და დაგვაცლევინეს, თუმცა ამდენი ხანია არაფრისთვის არ გამოუყენებიათ და ისეთ ალაგას არის, რომ ვერც მოიხმარენო.

გული დაგვწყვიტა, როცა ვნახეთ როგორ ანგრევდენ ჩვენგან სიმწრით ანაგებ სცენასა და აუდიტორიასაო, დასძინა ბ ნმა შაბირიშვილმა.

აი, ბ-ნებო, დაახლოებით ,,რაობა'', ე. ი. დედა—ძარღვი ჩვენი სადაო საგნისა. რასაკვირველია, იმათ ბევრი წვრილმანებიც დაურთეს და საერთოდ აღმაშფოთებელი სურათი დამიხატეს, მაგრამ მე არც ისეთი გამოუცდელი ვინმე ვარ, რომ საგანს კბილი ვერ გავუშინჯო.

აი ამიტომ ავწონ-დავწონე საქმე და ცივი უარით გავისტუმრე ჩემი პატივცემული სტუმრები.

ახლა ვთხოვ ყველას, ვისაც კი აინტერესებს სიმართლე, (როგორც ასეთი,) გულზე ხელი დაიდოს და სთქვას:

შემეძლო მე ყოველივე ეს და მრავალი ამის მაგვარი გამომემეღავნებია ჟურნალის ფურცლებზე თუ არა?

რასაკვირველია არა, არა, და არა.

ამიტომაც ვუთხარი მე უარი „ხარფუხის სახალხო აუდიტორიის" წარმომადგენლებს; ამიერიდან კი, რაც უნდათ ისა ჰქნან და ისა სთქვან.

ეშმაკი.

საუბარი

(იმერული სცენა)

—ნიკოია, ბოშო, კაცმა ომის ქარ ცეცხლში გამეიარე, ზარბაზნების ბრიგინი მეისმინე და ნუ თუ ერთი საინტერესო არაფელი შეგემთხვა?

—რავ ა არა, შე კაცო!

- ჰოდა მომიყევი ჩემო, ნიკოია დაწვრილებით.

—ერთხელ, ჩემო სოფრომ, კამანდერმა დამაყენა ჩასავოით. კუპრივით შავი ღამე იყო. მივეყუდე ჩემთვის უშველებელ მუხას და ვიყურები. ვითამ შემეშინდა თუ: ,,ნიკაპლი''!.. გევიხედე მოდის ლემენცი: ვლეწე ტყვია და გადავაგორე! ბიჭო, გევიხედე--კიდო მოდის ორი ლემენცი: ვდღლიზე და გადავაყირავე! გევიხედე—მოდის სამი ლემენცი, ვშვლიჭე და გაკოტრიალდენ! გევიხედე--მოდის ათი ლემენცი თავის ,,ფეთებლით'', ,,უზალპე'' და კიტრებივით წავალაგე! გევიხედე...

მეიცა, მეიცა, ჩემო ძამია! ძაან ბიჭობა გამოგიჩენია, მარა, კაცო, ერთმა ლემენცმა მაინცვერ მოახერხა შენსკენ თოფის გამოსროლა?

—ბოშო, რაღა კაცი ვიქნებოდი მაშინ, სიზმარში რომ ლემენცს თოფი ესროლა და ეჯობნა ჩემთვის!

—ვეე! შე კაცო, ამდენ ხანს სიზმარს ლაპარაკობდი!

გუგული.

ომის ილიუსტრაცია

შეხვედრა

მოხსენება

აფხაზეთიდან

(შესახებ ახალი ანა-ბანისა)

სოხუმის ოლქს აწ ექნება
საკუთარი განაწერა,
ეს ყოფილა და ასრულდა
აფხაზეთის ბედის წერა
ჩემი აზრით საჭიროა
საკუთარი ანა—ბანა,
ყოველგვარი საიდუმლო
სხვამ იცოდეს ვითომ განა?
ვსთქვათ, რომ კაცმა, მაგალითად,
მოიპარა ჭაკი ცხენი;
ქურდი ითხოვს სოფლისაგან
არ შეიქნეს შენარცხვენი,
და გამოაქვთ ყრილობაზე
აფხაზური განაჩენი.
ეხლა ვსთქვათ რომ მათ სცოდნოდა
წერა-კითხვა უფრო ვრცელი,
ამ ამბავსა წაიღებდა,
დამერწმუნეთ, მინდორ-ველი.

აფხაზეთის გლეხ-კაცობა,
რომ გაეცნოს თავის წარსულს
იქნებ აზრი შეიცვალონ,
დაუჯერონ ვინმე ავ-სულს;
ამისათვის ისევ ის სჯობს,
დარჩნენ კვლავად უსწავლელნი,
აფხაზური ანა-ბანით
შეაჩერონ გზა სავლელნი.

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

გაიხსნა ახალი აფთიაქი

ვარლამ ახვლედიანისა.

რას ეძებენ მესეეურნი
ნახეს ხალხი სათლელ დუმათ...
თუმც იციან რაცა ხდება,
მაგრამ სხედან ყრუთ და ჩუმათ.
ყველა ქურდი, ავაზაკი,
ამ მხარეში „კრონ პრინცია"
აფხაზეთიც მიტომ არის
ჯოჯოხეთის პროვინცია.

პეტრე.

ნაოღალევიდან

ბნელეთის მეფევ, მიიღეთ,
ჩემგან სალამი გვიანი,
ღიდხანს მეხილო ამ ქვეყნად,
გძელ-ტარა მათრახიანი,
მოკეთეს გული უამო,
მტერს მიაყენო ზიანი,
„სამოთხის" შვილთა თავზედა
„ბატონი" გახდე სვიანი,

—

აწ წამომყევი, თუ ძმა ხარ,
შენი მათრახით მწვავითა,
ნაოღალევში რო ჩავალთ,
დაგვიხვდებიან „ფლავიფა",
დაგვპატიჟენებ ვით სტუმარს,
საშიშსა, მოსარიდესა...
ნუ გვინდა მათი ლაქუცი,
გავყვეთ, მარცხენა კიდესა,
იქ ვნახავთ საბილიარდოს,
„მოსე მწერლების" ბუდესა,
(გაუდის შარებს ტრიალი
ამა ოთახის ზღუდესა)
უცხუნე იმათ მათრახი,
ვითარცა ითხოვს წესია
და უთხარ: „იმას იმკით თქო
რაც საქმით დაგითესია;
თავზე სიმშილი დაგჩხავის
ხელ მოღერილი ცელითა,
თქვენ კი რას სჩადით ამასა,
მაგ მოსატეხი ხელითა?..
და შემდეგ იქვე... მაგრამ, სტოპ!
ხალხია ფიცხი გულისა,
ყბებს მომამტვრევენ რომ ჩავალ
თუ ამან გააგულისა.

დ. ჯიქია.



ისმინეთ!

მეცამეტე (13) ნომერი „ახალი მათრახისა" რომელიც გამოვა 29 მაისს იქნება სპეციალური

სასკოლო

ამიტომ რედაქცია სთხოვს თანამშრომელთ, აღნიშნული ნომრისათვის (რაც შეიძლება ადრე) მოგვაწოდონ მასალები სკოლის ცხოვრებიდან. სასურველია აგრეთვე საკარიკატურე მასალებიც. 15 მაისს შემდეგ მიღებული მასალა სასკოლო ნომრისათვის აღარ მოესწრება.

ახალი მათრახის
რედაქცია

ყოველ ივე მიწერ მოწერა და ეგრეთვე ფულიც პირველი მაისიდან უნდა გამოგზავნონ სილიბისტრო რემანოზისძე თავართქილაძის სახელზედ.

Ящикъ № 199, или Баронская, 15.

მათრახის რედაქცია.



კახეთის რკინისგზის მიმოსვლა.

ვ ა დ ი ს

თფილისიდან 1 იანვარს დილის 8 საათზე
ნავთლუღიდან 28 ,, '' საღამოს 6 საათზე.
ვაზიანიდან 7 თებერვალს საღ. 11 საათზე
ივრიდან 4 მარტს სსღ. 5 საათზე
საგარეჯოდან 25 მარტს დილ. 10 საათ.
ბადიაურიდან 12 აპრილს საღ. 8 საათ.
მელაანიდან 29 აპრილს დილ. 4 საათ.
გურჯაანიდან 14 მაისს საღ. 9 საათ.
ვაჩნაძიანიდან 31 მაისს საღ. 7 საათ.
თელავში მიდის 12 ივნისს დილ. 6 საათ.
თელავიდან გამოდის 13 ივნისს.
ვაჩნაძიანიდან 2 ივლისს.
გურჯაანიდან 18 ივლისს.
მელაანიდან 5 აგვისტოს.
ბადიაურიდან 21 აგვისტოს.
საგარეჯოდან 9 ენკენისთვ.
ივრიდან 4 ღვინობისთვეს.
ვაზიანიდან 26 ,, ''
ნავთლუღიდან 7 გიორგობისთვეს.
თბილისში ბრუნდება 29 გიორგობისთვეს

დრო ნავარაუდევია ძველი სტილით, თუმცა გზა ახალია.

ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„თანამედროვე აზრი"

ფასი წლით 7 მ. ნახევ. წლ. 4 მ. 1 თვით 90 კ. ცალკე № 5 კ
ადრესი: ფულის და წერილების გამოსაგზავნი; Тифлисъ почт. ящ. 199 Евгенію Илларіоновичу Урушадзе.
კანტორა: თფილისი, ბარონის ქ. № 15.

ყოველდღიური სალიტ. და საპოლიტ. გაზეთი

„ს ა ხ ა ლ ხ ო ფ უ რ ც ე ლ ი"

ფასი: წელიწადში 8 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 4 მ. 50 კ. 3 თვ. 2 მ. 25 კ. 1 თ. 75 კ. ცალკე № 5 კაპ.
ადრესი: Тифлисъ, Газ. „Сахалхо Пурцели" почт. ящ. 190

საპოლიტ. სამეცნ. და სალიტერატურო გაზეთი

„შ ა დ რ ე ვ ა ნ ი"

გამოდის კვირაში ერთხელ, ორშაბათობით.
ფასი: 1 წლით 2 მ. 50 კ. ნახ. წლ. 1 მ. 25 კ. 1 თვ. 25 კ. ცალკე № კაპ.
ადრესი: ფულის და წერილების გამოსაგზანი Тифлисъ Типографія „Сорапанъ" Александру Г. Мумладзе

საპოლიტიკო და სილიტერატურო გაზეთი

„თ ე მ ი"

გაზეთი გამოდის ორშაბათობით
ფასი: წლით 2 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 1 მ. 25 კ. ცალკე № 5 კ.
ადრესი Тифлисъ, Ольгинская ул. № 4

ყოველკვირეული საზოგადო ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

„კ ლ დ ე"

ფასი: 1 წლით 5 მ. 6 თვ. 3 მ. ცალკე № 10 კაპ.
ადრესი: Тифлисъ Габаевскій пер. № 3

ყოველკვირეული სათეატრო და სალიტერატურო ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება"

ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 10 კაპ.
ადრესი „Тифлис Ред. Театри да цховреба" Іосифу Имедашвили.

ყოველ თვიური საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი"

მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის
ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 40 კაპ.
ადრესი: Тифлисъ, Редак. Журнала „Джеджили" Артиллерійская ул. № 5.

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

„ნ კ დ უ ლ"

წლიურ ხელის მომწერლებს ეძლევათ
24 წიგნი ნაკადულისა მცირე წლოვანთათვის () 12 წიგნი ნკაადულისა მოზრდილთათვის
ფასი: [illegible] ოცემისა წლით 5 მ. ნახევ. წლ. 3 [illegible]
ცალ[illegible] წლოვანთათვის 24 წ 3 მ.
მოზრ[illegible] 12 წ. 3 მ.
ადრესი Тиф[illegible], Ред. „Накадули" Голов. просп. № 8

ქალაქ თბილისში

გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული გამოცემა

ახალი მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა,

ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

თანამშრომლები — ალბურიონი, ბლიკვაძე, ეშვი, ეშმაკი, თაგუნა, კენტი, კვინწარი, კოლო, მორიელი, ნაბუქოდონოსორი, ონისიძე, პიტნა, ფონ-ტეფო, ქიქოძე შ., შმერლინგი, ჭიაურელი, ხუმარა და სხვ.

ჟურნალის ფასი — 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ 1 თვით 50 კ.

„ახალ მათრახში" დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამრშომლებს, მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ. *)

С. П. Таварткиладзе.
Баронская 15,
Почтов. ящ. № 199.

(ახალი მათრახისათვის).

*) ნვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყესბ მოვაგონებთ, რომ უმარკო წერილს რედაქცია არ დაიხსნის.

ცინ. ქარ. ამხ.

აკაკი კარგი პოეტი ხარ, ჩემო გიგო, მაგრამ ჩემი ლექსების სწორება შენი საქმე მაინც არ არის.

რედაქტორ-გამომცემელი—**ნ. დ. ჟღენტისა.**

Печатать разр. воен. цензурой. Типогр. Т—ва „Прогрессъ" Лорисъ-Меликовск. № 1.